



სამოქალაქო ორგანიზაციების პლატფორმა

არა ფობიას!

ჩვენ, ხელისმომწერი არასამთავრობო ორგანიზაციები:

- ვაცნობიერებთ რა საფრთხეს, რომელსაც ქართულ პოლიტიკურ დისკურსსა და მედიაში სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის გამოყენება ქმნის;
- ვაცნობიერებთ რა, რომ ასეთი არაჯანსაღი რიტორიკა ხელსაყრელ ფონს უქმნის იმ ექსტრემისტულ ჯგუფებს, რომელთაც თავიანთი რიტორიკა ქმედებაში გადააქვთ;
- ვაღიარებთ რა ადამიანთა თანასწორობის საყოველთაო პრინციპს და ეთნიკური, რელიგიური, გენდერული, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლენის დაუშვებლობას;
- ვაცნობიერებთ რა, ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრების აუცილებლობას.

ვქმნით ერთიან სამოქალაქო პლატფორმას - "არა ფობიას!"- სიძულვილის ენის და დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინების აღმოსაფხვრელად.

ჩვენი მიზანია:

- აღმოფხვრათ სიძულვილის ენა;
- რეაგირება მოვახდინოთ ასეთი რიტორიკის გამოვლინების თითოეულ ფაქტზე;
- დავეხმაროთ და სოლიდარობა გამოვხატოთ იმ ადამიანების და ჯგუფების მიმართ, ვინც სიძულვილის ენის სამიზნეა;

- ხელი შევუწყოთ საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებებს შექმნან ან გააძლიერონ შიდაპარტიული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკურ საქმიანობაში სიმშვილის ენისა და დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინების აღმოფხვრას;
- ხელი შევუწყოთ მედია წიგნიერების განვითარებას;
- ავამაღლოთ საზოგადოების ცნობიერება იმის შესახებ, თუ რა საფრთხეებს შეიცავს განსხვავებული ადამიანებისადმი შეუწყნარებლობის გამოვლინება და რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის ინკლუზიური და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბება.

მედიის განვითარების ფონდი, MDF

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, GDI

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, TI

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, TDI

იდეონტობა

სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის

საერთაშორისო საზოგადოება, ISFED

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი, ECMI

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, EMC

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, GYLA

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, OSGF

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

საქართველოს რეფორმების ასოციაცია, GRASS

საფარი

